



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ რ გ უ ლ ე ბ ა №212

2016 წელი 29 ნოემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის გოჩა ლაბაურის მოხსენებითი ბარათისა (№49/07.14.11.2016წ) და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე თოდუას მოხსენებითი ბარათის (№60/06.21.11.2016წ) საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში, კერძოდ,

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობას დაემატოს საკრებულოს წევრი - გიორგი კაჭარავა.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე  **ჯემალ სოლოლაშვილი**